

**კომპოზიტა ერთი რიგისათვის  
ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“**

ქართველურ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობების კვლევისთვის ახალ მასალას იძლევა 2005 წელს გამოსული ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“. ლექსიკონი 2 ტომს შეიცავს და 30 ათასზე მეტი სიტყვა-სტატიისგან შედგება. და მოიცავს ენის სრულიად განსხვავებულ სეგმენტებს, დიალექტურ, სასაუბრო, ხმარებიდან გასულ სიტყვებს, ე. წ. „ტყის ენას“, „ბავშვთა ენას“, აფხაზ მუჭაჯირთა მეტყველებისთვის დამახასიათებელ თავისებულებებს.

ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსული ლექსიკონში“ მრავლად გვხვდება ქართველიზმები, რომლებიც სხვა ლექსიკონებში ან ქართველურ-აფხაზურ ენობრივ ურთიერთობათა კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში არ მოხვედრილა. ამ ლექსიკურ ერთეულებში სოლიდური ადგილი უკავია კომპოზიტებს.

ჩვენს მიერ განხილულ კომპოზიტა შემადგენელი ნაწილები ცალკე ლექსიკურ ერთეულებად სხვა ლექსიკონებშიც გვხვდება, მაგრამ კომპოზიტად პირველად ვ. კასლანძიასთანაა წარმოდგენილი.

კომპოზიტა ერთი ნაწილი მთლიანად ქართველური სიტყვებისგანაა შემდგარი, ან აღმოსავლურენოვანი

სამყაროდან აფხაზურში შეთვისებისას შუალედური რგოლი ქართველურია:

1. **ა-კეცმგ~ალ / ა-კეცხმგ~ალ** „კეცზე გამომცხვარი მჭადი“ (კასლანძია 2005: 517).

კომპოზიტის პირველი კომპონენტი ქართველური **კეც**-იდან მომდინარეობს:

ქართ. **კეცი** „თიხის (ან ქვის) ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი ჭურჭელი, რომელშიც აცხობენ მჭადს, პურს“ (ქეგლ IV: 1153).

ძვ. ქართ. **კეცი** (ძვ. ქ.) „თიხა, თიხის ჭურჭელი, გამომწვარი კრამიტი“ (აბულაძე 1973: 197).

ღიალ. **კეცეული** (ხევს.) „თხელი პური, ქადა“ (ღლონტი 1984: 282), მეგრ. **კიცი** „თიხის ან ქვის ჭურჭელი, რომელშიც აცხობენ მჭადს, პურს“ (ყიფშიძე 1914: 259).

ლაზ. **კეცი / კეწი** „კეცი“ (ქუთელია 2005: 246, 247).

სვან. **კეც / კეც** „ქვის კეცი“ (თოფურია 2000: 347).

აფხაზური **ა-კეც** „კრამიტი; კეცი“ (ჯანაშია 1954: 160) ნასესხებია მეგრულიდან (ჭარაია 1912: 10).

კომპოზიტის მეორე კომპონენტიც ქართველური წარმოშობისაა, ამოსავალია ზანურ-სვანური ფორმები:

მეგრ. **დიარ** „დაპურება“ (ყიფშიძე 1914: 225).

ლაზ. **გდარ / ჯარ** „საჭმელი“ (მარი 1910: 135, 236).

სვან. **დიარ / დიარ** „პური“ (თოფურია 2000: 195).

აფხაზური **ა-მგ~ალ** „მჭადი“ (ჯანაშია 1954: 189) ქართველურიდან (resp. მეგრულიდან მომდინარეობს. ქართული ენის დიალექტებში შეინიშნება დ > გ პროცესი (**ზიდავს** > **ზიგავს**). იგივე პროცესი მიმდინარეობს

ქართველურიდან აფხაზურში სესხების ცალკეულ შემთხვევებში. ერთი ასეთ შემთხვევათაგანი უნდა იყოს **ა-მგ~ალ** „მჭადი“ (ლომთათიძე 1999-ა: 124), სიტყვა შესულია აბაზურშიც: **მგ~ალ** (აბაზ.) „ფეტვის პური“ (აბრლ 1967: 277).

სიტყვა ხშირად გვხვდება აფხაზურ კომპოზიტებში: **ა-ცხამგ~ალ** „თაფლიანი მჭადი“ (შაყრილი 1987: 318). შდრ. **ა-ცხა** „თაფლი“ (იქვე); **ა-ჩაშ~გმგ~ალ** „ხორბლისგან დამზადებული ყველიანი ღვეზელი“ (შაყრილი 1987: 417), სადაც **ა-ჩა** „პურია“, **ა-შ** „ყველი“, **ჯაბრანმგ~ალ** „ჯაბრანის ხმიადი“, **ჟაბრანმგ~ალ** „ჟაბრანის ხმიადი“ (კვარჭია 1981: 49).

**ა-კვცმგ~ალ** **ა-კვცხმგ~ალ** „ვეცზე გამომცხვარი მჭადი“ პირველად გვხვდება ვ. კასლანძიას ლექსიკონში (კასლანძია 2005: 517).

2. **ა-მარგ~გლტამა** „ატმის ჯიში“ (კასლანძია 2005: 664).

კომპოზიტის პირველი კომპონენტი გვხვდება მეგრულსა და სვანურში: მეგრ. **მარგული** „შავი ქლიავი“ (ქაჯაია 2002: 217), სვან. **მარგუტილ** „შავქლიავი“ (ავალიანი 1995: 59).

**მარგული** გვაქვს აფხაზეთში მდებარე ტოპონიმში **მერკულა** (გვანცელაძე 1997-ა: 199). ეს ოიკონიმი ჯერ კიდევ XIV საუკუნის წყაროებში ჩანს (კვარჭია 1985: 29).

ქართველურიდანვეა კომპოზიტის მეორე ნაწილი:

ქართ. **ატამი** „საშუალო ტანის ხე“ (ქეგლ I: 629).

ძვ. ქართ. **ატამი persicum** (აბულაძე 1973: 11), **ატამი** „ხე“ (საბა 1991: 71).

მეგრ. ატამა „ატამი“ (ყიფშიძე 1914: 197).

ლაზ. ანტამა / ატამზა „ატამი“ (მარი 1910: 126),

სვან. ატამა / ატამ „ატამი“ (თოფურია 2000: 63).

სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა ნასესხები (გვანცელაძე 1997: 58), მეტიც, შესულია აზაზურშიც: ტამა (აბაზ.) „გარგარი“ (აბრლ 1967: 372).

ასეთი კომპოზიტი საკუთრივ მეგრულში და სვანურში არ გვხვდება. ვვარაუდობთ, რომ ა-მარგ<sup>o</sup>ვლტამა გააფხაზურებული კომპოზიტია (ბუკია 2010: 9).

3. ა-ჩყ<sup>o</sup>უატალა „ფარისებრი ჯირკვალი“ (კასლანძია 2005-ა: 523).

კომპოზიტის პირველი ნაწილი ქართულია:

ქართ. ჩიყვი „1. ავადმყოფობა, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება; 2. კუთხ. (იმერ.) სოკო სიმინდის ღეროზე გაჩენილი“ (ქეგლ VIII: 518), მეგრ. ჩიყვი „ჩიყვი, გამობერილი ყელი ჩიჩახვივით“ (ქარაია 1997: 157)

აფხაზური ა-ჩყ<sup>o</sup> „ჩიყვი“ (გვანცელაძე 2003: 227) ფონოტაქტიკის სრული დაცვითაა ნასესხები ქართულიდან – ინტერკონსონანტურ პოზიციაში ი > ც, ყვ თანხმოვანთკომპლექსმა კანონიკურად მოგვცა ლაბიალიზებული ყ<sup>o</sup>.

კომპოზიტის მეორე ნაწილი მეგრულიდანაა შეთვისებული:

მეგრ. **ოტოლე / ინტოლე** (მეგრ.) „ჯირკვალი“ (ქაჯაია 2002: 453).

დიალ. **ორტოლა** (გურ.) „ჯირკვალი, რომელიც გრძლად, ორ ზოლად გადაწვება ადამიანს სიპაში“ (დლონტი 1984: 429).

სვან. **ღუნტულ / ღუნტლა** „ჯირკვალი“ (თოფურია 2000: 797).

გურულში პოვნიერი ორტოლა ზანურის სუბსტრატია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ოტოლე / ინტოლე** ზანური შესატყვისია ქართული **არტალა**-სი (როგავა 1962: 73).

**ა-ჟატალა / ა-კატალა** „ჯირკვალი“ (ჯანაშია 1954: 266) ბგერათგადაღების სრული შესაბამისობით არის ქართველურიდანაა შესული აფხაზურში (ლომთათიძე 1981: 84-85)

აფხაზურ სიტყვაში **ა-ჩყუატალა** „ფარისებრი ჯირკვალი“ (კასლანძია 2005-ა: 523) ორივე ინგრედიენტი ქართველურიდანაა შეთვისებული.

#### 4. **ა-ჰათერ-აპატუ** (კასლანძია 2005-ა: 389).

აფხაზურსა და ქართველურში შეთვისებული **ხათრი** არაბულ-სპარსული სიტყვაა და გავრცელებულია სამსავე ქართველურ ენაში:

ქართ. **ხათრი** „[არ.-სპ. ხათირ] პატივისცემა, თავაზი“ (ქეგლ VIII: 1316).

მეგრ. **ხათრი** „პატივისცემა, მორიდება“ (ყიფშიძე 1914: 396).

ლაზ. ხატირი „ხსოვნა, პატივისცემა“ (მარი 1910: 229).

სვან. ხატორ / ხათორ „ხათორი, მორიდება“ (თოფურია 2000: 867).

ქართული ხათირი და აფხაზური ა-ჰათორ შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 11). ის მიიჩნევს, რომ აფხაზური ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული, თუმცა შეიძლება დავუშვათ, რომ ორსავე ენაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაა შესული – აფხაზურ ფორმაში შენარჩუნებულია ინტერკონსონანტური ი > გ, რაც ქართულში არ ჩანს.

კომპოზიტის მეორე ნაწილი ქართველურია:

ქართ. პატივი „1. კარგად მოპყრობა, დაფასება, სახელი, ღირსება. 2. კარგი მოვლა“ (ქეგლ VI: 148).

ძვ. ქართ. პატივი (ძვ. ქ.) „დიდება, დიდი სახელი ან ხარისხი“ (აბულაძე 1973: 337), პატივი „კეთილის მოპყრობა“ (საბა 1991: 616).

მეგრ. პატიი „პატივი, პატივისცემა“ (ყიფშიძე 1914: 297).

სვან. პატიჟ / პატიჟ „პატივი“ (თოფურია 2000: 679).

ქართველურიდანაა ნასესხები აფხაზური ა-პატჟჟ „პატივი“ (ჯანაშია, 1954, 219), სიტყვა აბაზურშიცაა შესული: პატუ (აბაზ.) “ავტორიტეტი, პატივი” (აბრლ, 1967, 313).

შესაბამისად, ა-ჰათორ-აპატუ (კასლანძია 2005-ა: 389) ქართველურიდან ნასესხობად განიხილება.

სხვა შემთხვევაში გვაქვს ე. წ. „ჰიბრიდული კომპოზიტები“, სადაც ერთი სიტყვა ქართველურია (ან უცხოენოვანი, მაგრამ აფხაზურში ქართველურიდან შესული), მეორე კი აფხაზური:

1. **ა-გ~არგ°აბამზა** „ნოემბერი“ (კასლანძია 2005: 280).

კომპოზიტის პირველი ნაწილი ქართულია:

ქართ. **გიორგობა** „1. იგივეა, რაც გიორგობისთვე. 2. წმინდა გიორგის სახელობის დღეობა, დღესასწაული“ (ქეგლ II: 1454).

მეგრ. **გერგება / გერგობა** „გიორგობა“ (ჭარაია 1997: 48).

**ა-გ~არგ°აბა** „გიორგობა, წმ. გიორგის დღესასწაული“ (შაყრილი 1986: 144), „ნოემბერი“ (შაგიროვი 1989: 145); მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (იქვე).

კასლანძიას მიერ მითითებული **ა-გ~არგ°აბამზა** „ნოემბერი“ (კასლანძია, 2005, 280) ჰიბრიდული კომპოზიტია: **ა-გ~არგ°აბა** < **გერგობა** (მეგრ.) „გიორგობა“, **ამზა** (აფხ.) „თვე“ (ჯანაშია, 1954, 190); შდრ. **გერგობათუთა** (მეგრ.) „გიორგობისთვე, ნოემბერი“.

2. **ა-ლაფინა** „ფინია“ (კასლანძია 2005: 618).

კომპოზიტის მეორე ნაწილი **(ა)ფინა** წარმოდგენილია ქართველურში:

**ფინია** „პატარა ძაღლი, – გოშია“ (ქეგლ VII: 114).

ძვ. ქართ. **ფინია** „ცუდი ძაღლი“ (საბა 1993: 351).

მეგრ. **ფინია** (მეგრ.) „id.“ (ჭარაია 1997: 135).

ლაზ. ფინო „1. პატარა ძაღლი; 2. ტანმომცრო“  
(კალანდია 2005: 73).

სვან. ფინიამ / ფინიამ / ფინიან (სვან.) (თოფურია  
2000: 761).

აფხაზურში გვხვდება მარტივი ა-ფინა „ფინია“  
(ჯანაშია 1954: 276). ვ. კვარჭია მიუთითებს, რომ სიტყვა  
გვხვდება მეგრულსა და ქართულში, მაგრამ მიიჩნევს, რომ  
აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს თურქული  
ბინა „კარგადმხედველი, გამჭრიახი“ (კვარჭია 1981: 102);  
ვვარაუდობთ, რომ აფხაზური სიტყვა ქართველურიდანაა  
შეთვისებული. გაუგებარია, რა საერთო აქვს თურქულ და  
ქართველურ-აფხაზურ სემანტიკას ერთმანეთთან.

ვ. კასლანძიას ლექსიკონში წარმოდგენილი ა-  
ლაფინა „ფინია“ ფორმას აფხაზურ-ქართულ კომპოზიტად  
განვიხილავთ, ა-ლა აფხაზურად „ძაღლს“ ნიშნავს (ჯანაშია  
1954: 162).

3. ა-რხადგ~გლ „დაბლობი“ (კასლანძია 2005-ა: 136).

კომპოზიტი ქართულ-აფხაზური სიტყვებითაა  
წარმოდგენილი:

ადგილი „1. სივრცის ნაწილი დედამიწის  
ზედაპირზე, მიდამო. 2. მამული...“ (ქეგლ I: 112).

ძვ. ქართ. ადგილი „საცხოვრისი, სამყოფი“  
(აბულაძე, 1973, 2).

მეგრ. არდგილი „ადგილი“ (ყიფშიძე 1914: 196).

სვან. ადგილ / ადგი / ადგილ (სვან.) „ადგილი“  
(თოფურია 2000: 107).



აფხაზური **ა-დგილ** „ადგილი, მიწა“ ჯერ კიდევ უსლარს აქვს დაფიქსირებული (უსლარი 1887: 130); ფორმა **ადგ~გლ** გვაქვს აფხაზურშიც (ლომთათიძე 1976: 60); აფხაზურ-აფხაზურში შეთვისებულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 139); სიტყვები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 12); ხშირად გვხვდება კომპოზიტის კომპონენტად: **აფს-ადგ~გლ** „სამშობლო“ (ჯანაშია 1954: 247), **აფს'ადგ~გლ** (ბზ.) „id.“ (შაყრილი 1985: 10), ზედმ. „აფხაზეთის ადგილი, ქვეყანა“ ჰიბრიდული კომპოზიტია (ლომთათიძე 1999: 26); სხვა კომპოზიტები: **ა-დგ~გლწა** „მიწავაშლა“ (გვანცელაძე 1997-ა: 208); **ა-დგ~გლბჟახა** „კუნძული“ (მიძარია 1989: 49), **ა-დგ~გლჩააც** „ნახევარკუნძული“ (იქვე),

**ა-რხადგ~გლ** „დაბლობი“ (კასლანძია 2005-ა: 136) პირველად ვ. კასლანძიას ლექსიკონშია წარმოდგენილი.

4. **ა-შხაკაფკაფ** „მთის კაკაბი“ (კასლანძია 2005-ა: 643) – **ა-შხა** (აფხ.) „მთა“, **ა-კაფკაფ < კაკაბი** „ფრინველი ერთგვარი“ **კაკაბი** „ვარიის ტოლა გარეული ფრინველი“ (ქეგლ IV: 1023).

ძვ. ქართ. **კაკაბი** „ფრინველი“ (საბა 1991: 347).

მეგრ. **კაკაბი** „კაკაბი“ (ჭარაია 1997: 74).

სვან. **კაკაბ** (სვან.) „კაკაბი“ (ჩართოლანი 2003: 192).

ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში **ა-კაფკაფ** „მთის კაკაბი, შურთხი“ (ჯანაშია, 1954, 144), **ა-კაკაბ** (ჯანაშია, 1960, 53), **ა-შხაკაფკაფ** „მთის კაკაბი“ (კასლანძია,

2005-ა, 643) კი ჰიბრიდული კომპოზიტია, სადაც **ა-შხა** “მთა” (იქვე).

5. **ა-ცგზჰასკზენ** „კატაბალახა“ (კასლანძია 2005-ა: 406).

ქართ. **ასკილი** “ეკლიანი ველური მცენარე” (ქეგლ I: 612)

ლაზ. **ასკილი** “ასკილი” (ქუთელია 1982: 38)

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზური **ა-ჰასკზენ** „ბალახი“ (უსლარი 1887: 138) მიღებულია ქართულიდან სემანტიკური გადაწევის ნიადაგზე (ლომთათიძე 1976: 170). ასევე ქართულიდანაა მიღებული **ჰაცკზენ** „ბალახი“ (შაგიროვი 1989: 140). გვაქვს კომპოზიტებში: **ა-ჩაგჰასკზენ** „სპეციალური ნორჩი ბალახი, იხმარება ცხენის საკვებად“, ზედმ. „ცხენის ბალახი“, **ა-ჟარჰასკზენ** „ველური ციკორეა“, ზედმ. „კურდღლის ბალახი“ (მაჭავარიანი 2006: 83), ვ. კასლანძიას მიერ მითითებული **ა-ცგზჰასკზენ** „კატაბალახა“ (კასლანძია 2005-ა: 406) ქართულ-აფხაზური კომპოზიტია. შდრ. **ა-ცგზ** „კატა“ (ჯანაშია 1954: 355).

6. **ა-ძგპგრპგლ** „წყლის პიმპილი“ (კასლანძია 2005: 454).

სპარსული წარმოშობის პიმპილი ფართოდაა წარმოდგენილი ქართველურში: ქართ. **პიმპილი** „1. ტროპიკული მცოცავი ბუჩქი. 2. ამ მცენარის ნაყოფი“ (ქეგლ VI: 183).

ძვ. ქართ. **პილპილი** „piper“ (აბულაძე 1973: 339).  
დიალ. **პიმპილი** / **პიმპილა** (იმერ., გურ., ლეჩხ.),  
**პირპილო** (აჭარ.) „წიწაკა“ (დლონტი 1984: 437, 439).  
ლაზ. **პიპერი** „წიწაკა“ (მარი 1910: 179).  
სვან. **პიმპილაჲ** (სვან.) „წიწაკა“ (მაცაშვილი 1991:  
156).

აფხაზურში **ა-პგრპგლ** „წიწაკა“ (უსლარი 1887: 152)  
ქართულიდანაა შეთვისებული (გვანცელაძე 1997-ა: 206).

აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში წარმოდგენილი **ა-  
ძგპგრპგლ** „წყლის პიმპილი“ (კასლანძია 2005: 454)  
ჰიბრიდული კომპოზიტია, **ა-ძგ** (აფხ.) „წყალი“ (ჯანაშია 1954:  
376).

7. **ა-ღზ~არზ~** / **ა-ღზ°არზ~** „ფიცრის გასახერხი  
ხერხი“ (კასლანძია 2005: 330).

ქართ. **ხერხი** „ხის (აგრეთვე ლითონის და სხვ.)  
საჭრელი, სახერხი იარაღი“ (ქეგლ VIII: 1427).

მეგრ. **ხორხი** „ხერხი“ (ციფშიძე 1914: 407).

ლაზ. **ხერხი** „ხერხი“ (მარი 1910: 231).

სვან. **ხერხ** „ხერხი“ (საღლიანი 2005: 35).

აფხაზურში ქართულიდანაა შესული **ა-ხ~არზ~** / **ა-  
ხ°არზ~** „ხერხი“ (ჯანაშია 1954: 421, 442); ფორმები  
შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). **ა-ხ~არზ~**  
ქართულიდან, ხოლო **ა-ხ°არზ~** მეგრულიდან (ლომთათიძე  
1956: 138). პირველ შემთხვევაში ქართულმა **ხერხ-** ფორმამ  
აფხაზურში შეთვისებისას შემდეგი ფონეტიკური

ცვლილებები განიცადა: ხ-ს შემდგომ პოზიციაში ე და ი ხმოვნები დაიკარგა, მაგრამ რეფლექსის სახით დარჩა პალატალიზებულ უკანაენისმიერში: ხე / ხი > ხ<sup>ჲ</sup>. მეგრული ხორხ- სიტყვის შეთვისების შედეგად ხო კომპლექსმა მოგვცა ლაბიალური უკანაენისმიერი ხ<sup>ჲ</sup>.

სიტყვა გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტში: ა-ღ<sup>ჲ</sup>~არხ<sup>ჲ</sup> / ა-ღ<sup>ჲ</sup>~არხ<sup>ჲ</sup> „ფიცხის გასახერხი ხერხი“ (კასლანძია 2005: 330), პირველი ნაწილი ა-ღ<sup>ჲ</sup> აფხაზურია და „ფიცარს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 310)

**ამშაფგემა** „აპრილი“, ზედმ. „აღდგომის თვე“ (კასლანძია 2005: 704), **ამშაფგეკაკაჟ** „ბაია“ (იქვე), ზედმ. „აღდგომის ყვავილი“).

მეგრ. **თანაფა** „აღდგომა“ (ყიფშიძე 1914: 240).

სვან. **თანაფ** „აღდგომა“ (თოფურია 2000: 256).

„აღდგომის“ აღმნიშვნელ აფხაზურ ა-მშაფ (ჯანაშია 1954: 195) ფორმასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. ი. ჯავახიშვილი დაწვრილებით აღწერს აფხაზურ დღესასწაულს, რომელიც წარმართული შინაარსისაა (მუხის კულტის გამომხატველი) და სვამს კითხვას: „იქნებ ამშაჰ კანონიერი აფხაზური გამოსახულება იყოს მეგრული მესეფი-სა?“ (ჯავახიშვილი 1960: 95).

თ. გვანცელაძე აფხაზურ ფორმას მეგრულის გავლენით წარმოქმნილად მიიჩნევს: „დღის“ აღმნიშვნელი ა-

მშპ ფორმა მეგრული აფ(ა) მორფემით არის გაფორმებული (გვანცელაძე 1996: 31).

ვ. კასლანძიას მიერ მითითებული ამშაფგმზა „აპრილი“, ზედმ. „აღდგომის თვე“ (კასლანძია 2005: 704) ჰიბრიდულ კომპოზიტად უნდა ჩაითვალოს. იქვე ლექსიკოგრაფს აღნიშნული აქვს ამშაფგაკაჟ „ბაია“, ზედმ. „აღდგომის ყვავილი“), სადაც მეორე ნაწილი (ა)კაჟაჟ ქართული კაკაჩა / ყაყაჩო-დან არის მიღებული. ეს უკანასკნელი ქართულიდან ნასესხობის სახით გვაქვს აბაზურშიც: კაკაჩ „ყვავილი“ (შაგიროვი 1989: 139).

ესაა მცირე ნაწილი ვ. კასლანძიას აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში წარმოდგენილი კომპოზიტებისა.

#### მითითებული ლიტერატურა:

1. აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი
2. აბრლ 1967 – Абазинско-русский словарь. Москва
3. ავალიანი 1995 – ა. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი, თბილისი
4. ბუკია 2010 – მ. ბუკია, ქართველური ლექსიკა
- ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

5. გვანცელაძე 1996 – თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში საკულტო ლექსიკის მიხედვით, ქუთაისური საუბრები-III, ქუთაისი

6. გვანცელაძე 1997 – თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულეზანი, კრებული „გიორგი როგავას“, თბილისი

7. გვანცელაძე 1997-ა – თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი

8. გვანცელაძე 2003 – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართველური ენების შემსწავლელთათვის, ქართულ-აფხაზური ლექსიკონი, ტ. II, თბილისი

9. გულია 2004 – დ. გულია, ქართულ-მეგრულ-აფხაზური ლექსიკონი, „მახარია“, 2004, # 1, თბილისი

10. თოფურია 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი

11. კასლანძია 2005 – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I, Сухуми

12. კასლანძია 2005-ა – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II, Сухуми

13. კვარჭია 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми
14. კვარჭია 1985 – В. Е. Кварчия. Ойконимы Абхазии в письменных источниках, Сухуми
15. ლომთათიძე 1956 – ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, „მნათობი“, 1956, # 12
16. ლომთათიძე 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ – შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი
17. ლომთათიძე 1981 – ქ. ლომთათიძე, ქართული „უბელო“ და ერთი ფონეტიკური პროცესის საკითხი აფხაზურში, „საიუბილეო კრებული აკაკი შანიძეს“, თბილისი
18. ლომთათიძე 1999 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებისათვის, ჩიქობავას საკითხავები – X. თბილისი
19. ლომთათიძე 1999-ა – ქ. ლომთათიძე, დ > გ მონაცვლეობის შემთხვევები ქართულში და ამ პროცესთან დაკავშირებული ზოგი ფუძის წარმომავლობის საკითხი აფხაზურში, ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი
20. მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб.

21. მაყაშვილი 1991 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, მცენარეთა სახელწოდებანი, თბილისი
22. მაჭავარიანი 2006 – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში, თბილისი
23. როგავა 1962 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბილისი
24. საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი
25. საბა 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი
26. საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებად, თბილისი
27. უსლარი 1887 – П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис
28. ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი
29. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964
30. ქუთელია 1982 – ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბილისი
31. ქუთელია 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სისტემა, თბილისი
32. ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი



33. ყიფშიძე 1914 – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ
34. შაგიროვი 1989 – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва
35. შაყრილი 1985 – К. С. Шакрыл, Труды. Очерки по абхазскому языку и фольклора, Сухуми
36. შაყრილი 1986 – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, словарь абхазского языка, т. I, Сухуми
37. შაყრილი 1987 – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, фловарь абхазского языка, т. II, Сухуми
38. ჩართოლანი 2003 – ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა, ბალსზემოური კილო, თბილისი
39. ძიძარია 1989 – О. П. Дзидзария, Морская лексика в абхазском языке, Сухуми
40. ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб
41. ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი
42. ჯავახიშვილი 1960 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი
43. ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

44. ჯანაშია 1960 – Н. С. Джанашия,  
Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии  
Абхазии. Сухуми

ლინგვისტური ქართველოლოგიისა და  
აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III., თბილისი, 2011